

# საქართველო

# 13

ივლისი  
ხუთშაბათი.

1961 წ.

№ 98 (1734)


ბათუმის №17 წელი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов



## შეხვედრა ოლიმპიკოსებთან

ბათუმში საწვრთნელ შეჯიბრებაზე სამ კვირაზე მეტხანს იყო საბათოთა კავშირის წყალბურთელთა ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ რომის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელები — სპორტის დამსახურებული ოსტატი, გუნდის კაპიტანი პ. მშენიერიძე, სპორტის ოსტატი ლ. გოგოლაძე, ვ. კურეანი, ი. სემიონოვი, გ. ჩიქვანიანი, ნ. გრიგორიანი, ა. ჩერნიშოვი და სხვები.

ამის წინათ „სპარტაკის“ საცურაო აუზში მრავალრიცხოვანმა სპორტის მოყვარულმა მოიყარა თავი, რათა ენახა ჩვენი ქვეყნის პირველი და მეორე ნაკრების საწვრთნელი მატჩი. შეხვედრა საინტერესოდ მიმდინარეობდა და დამთავრდა პირველის გამარჯვებით ანგარიშით 15:6. ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო თბილისის „დინამის“ წყალბურთელი გ. ჩიქვანიანი. მან მეორე ნაკრების კარში 6 ბურთი გაიტანა.

ამის შემდეგ ლენინის სახელობის ბათუმის პიონერთა პარკის თეატრში მოეწყო ქალაქის ახალგაზრდობის შეხვედრა წყალბურთელთა ნაკრების წევრებთან.

შეჯიბრებებმა დიდი ინტერესით მოიპოვეს საბჭოთა კავშირის წყალბურთის ფედერაციის თავმჯდომარის ი. კარნიციკის, ნაკრების უფროსი მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. უშაკოვის და ნაკრების კაპიტანის, სპორტის დამსახურებული ოსტატის პ. მშენიერიძის გამოსვლები.

პიონერებმა სტუმრებს ცოცხალი ყვირლების თაველები მიართვეს და ასეირნეს თბომავალი „პიონერთა“, გადაიღეს მათთან სამახსოვრო ფოტოსურათები.

ამ სპორტსმენებმა, რომლებმაც რომის ოლიმპიადაზე საპრიზო ადგილები მოიპოვეს, წელსაც ასახელეს მშობლიური საქართველო. ვ. რუბაშვილმა და ა. ქორიძემ (მარცხენა სურათზე) ტოიო-

დან ოქროს მედლები ჩამოიტანეს, ხოლო რ. შავლაყაძემ (მარცხენა სურათზე) არავის დაუთმო უძლიერესის სახელი მოსკოვში ძმები ზნაშენსკების პრიზზე გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე.

## ლ უ ც ვ რ ნ ი

დამთავრდა ლუცერნის ტრადიციული რეგატა აკადემიურ ნიზოს-ნობაში, სადაც თავი მოიყარეს 11 ქვეყნის უძლიერესებმა. ოთხადგილიანთა შეჯიბრებაში (მესამე ი. რუდაკოვი) საბჭოთა გუნდმა დაამარცხა რომის ოლიმპიადის ჩემპიონი გფრ-ს გუნდი და მოიპოვა „როტზეს პრიზი“. საბჭოთა ნიზოს-ნობაში ფინალში კიდევ ერთი დამარცხება აგემეს გფრ-ს გუნდს, ამჯერად ორადგილიანთა შეჯიბრებაში.

ერთადგილიანთა რბოლაში თავისი უპირატესობა კიდევ ერთხელ დაამტკიცა ორი ოლიმპიადის ჩემპიონმა ვ. ივანოვმა. მან ფინალში აჩვენა 7.21,7 და 9 წამით აჯობა მეორე ადგილზე გამოსულ შვეიცარიელ გროიენს.



ბთ. ი. ბალაშის მიერ მსოფლიო რეკორდის 190 სმ დამყარების გარდა სხვა კარგი შედეგებიც იქნა ნაჩვენები. ტ. შჩელკანოვამ მოიპოვა ორი გამარჯვება — სიგრძეზე

ბტომში — 6 მ 26 სმ და 100 მ რბენაში — 11,8. თ. პრესმა გააუმჯობესა სტადიონის რეკორდი ბირთვის კვრებაში. მისი შედეგია — 16 მ 98 სმ. სტადიონის რეკორდი დაამყარა აგრეთვე ი. კრასოცკისმა კოკით ბტომში — 4 მ 50 სმ. ა. მისილოვი პირველი იყო 110 მ თარჯუნში — 13,8 წ. 5000 მ რბენაში მოიგო ინგლისელმა ბ. ტალომ — 13.52,0.

## ბ უ დ ა ა ე უ ტ ი

აქ ორ დღეს გრძელდებოდა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება საბჭოთა კავშირის, ინგლისის, რუმინეთის, უნგრეთისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენთა მონაწილეობით.

## ტურნირი დამთავრდა

როსტოვში. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). დამთავრდა საფინალი შეხვედრები ფრენბურთში „ბ“ კლასის გუნდებს შორის. ქალთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა ხარკოვის „სპარტაკმა“, მეორე — „ბურვესტნიკმა“ (როსტოვი), მესამე — „კალემა“ (ტარტუ).

ვათა გუნდებს შორის უძლიერესი იყო ოდესის არმიელთა გუნდი. შემდგომი ადგილები დაიკავეს როსტოვის არმიელებმა, ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა და თბილისის „ბურვესტნიკმა“.

ვათა გუნდების შეხვედრები განსაკუთრებით დამაბულად მიმდინარეობდა. ამის საილუსტრაციოდ კმარა ისიც, რომ ვათა გუნდების მიერ ჩატარებული შეხვედრებიდან მხოლოდ ერთი დამთავრდა ანგარიშით 3:1, დანარჩენი შეხვედრები კი 5-5 პარტიებიდან შედგებოდა.



## ერთი ადგილი — ორი გამარჯვებული

ნებისმიერი ვარჯიშები ბტომში შეჯიბრებით დაიწყო, ეს სახეობა მ. ნინოშვილის ყველაზე სუსტი უბანია. მან ამჯერად 9 ქულა მიიღო, როცა და ჩანუყაშვილის ხუთი მეათედი ქულით უკეთესი შედეგება პქონდა. კარგად გამოვიდა ე. ბენიძეც — 9,3 ქულა.

ლიდერთა პაექრობა ორმელზე ვარჯიშში მ. ცნობილია გამარჯვებით დამთავრდა — 9,6 ქულა, დ. ჩანუყაშვილს 9,55 ქულა პქონდა, მ. ნინოშვილს — 9,4. შეჯიბრებამ მეტად დამაბული ხასიათი მიიღო; დ. ჩანუყაშვილი ახლა უკვე 1,75 ქულით უსწრებდა მ. ნინოშვილს.

წინ მხოლოდ ორი იარაღი იყო დარჩენილი; თითქმის ეჭვი არავის ეპარებოდა დ. ჩანუყაშვილის გამარჯვებაში, რომ ღვირზე ვარჯიშის დროს ლიდერმა უხეში შეცდომა დაუშვა და დაბალი შედეგება — 7,65 ქულა მიიღო. მ. ნინოშვილს საერთო პირველი ადგილის მოპოვების თეორიული შანსი რეალურად

ბად გადაქცა და ღვირზე ვარჯიშში მიღებული 9,4 ქულით საბოლოოდ გაუთანაბრა ახალგაზრდა მტოქქეს, საერთო ჯამში ახლა უკვე ორივეს 63,85 ქულა პქონდა, საგრძნობლად დაწინაურდა ე. ბენიძეც — 63,45 ქულა.

და, ჩანუყაშვილმა დიდი მონდობით შეასრულა თავისუფალი ვარჯიში და მაღალი შედეგება — 9,65 ქულა მიიღო. ასეთივე შედეგება დაიმსახურა ნინოშვილმაც.

დავა ვერ გადაწყვიტა — ერთი ადგილი, ორი გამარჯვებული, ასევე ავიდნენ ისინი კვარტალბურთის უმაღლეს საფეხურზე, მესამე ადგილი მიეკუთვნა ე. ბენიძეს.

ცალკეულ იარაღებზე ვარჯიშებში ჩემპიონები გახდნენ დ. ჩანუყაშვილი (ორმელი, ბტომში) და მ. ნინოშვილი (ღვირი და თავისუფალი ვარჯიში).

პროფკავშირების პირველობაზე ოსტატთა შორის საუკეთესო იყო ბურვესტნიკელი ტ. კომისარენკო.

**ბ. სამსონაძე**

**სწრაბიშვილი:** მარცხენა — მ. ნინოშვილი, მარჯვენა — დ. ჩანუყაშვილი.

## ზღვაზე

ცას ედებოდა აღმურო, იწვოდნენ დილის სიმაღლი, შენ წყლის ნაპირს იდგევი, ვით ყველყარყარა ირემი.

ერთი შეშკარი კამარა, ელვის აფრები აუშვი, და მთვარესავით ჩაეშვი გრძნობის ტალღების აუზში.

უკან ვინ გამოყვებოდა, ვინ იყო შენი დამკერი, ზვირთს მხარი ისე გაკარი მეგონა ზღვა თუ ვასკერი.

ქარი არა ვარ მოვდიო, მხოლოდ სუნთქვა ვარ ვარდების, თუ არ გამოხვალ წავალ და შორს მთებში გადავვარდები.


ან შენი ცურვა მასწავლევ, ძალია შთამბერე უღვივ, რომ სიყვარულის მღინარეს ერთად მივანდოთ გულში.

**ვახტანგ გორგაძელი**

## ზონის ლიდერი

ნოსტაბა. (ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება მოზარდ ფეხბურთელთა საქავეზარო გათამაშება XV ზონის გუნდებს შორის, თბილისის საფეხბურთო სკოლის გუნდმა ითამაშა ხარკოვის კოლექტივთან, მატჩი მოაგეს თბილისელმა სპორტსმენებმა ანგარიშით 1:0. ბურთი გაიტანა ჩინლაძემ.

თბილისის საფეხბურთო სკოლის გუნდი ზონის გათამაშების ლიდერია. მან 4 შეხვედრიდან 8 ქულა აქვს.



# საქართველო კავშირები



გაგრის რაიონში სხვა სფეროს სანაპიროს გადაჭრებს მთა მზიური, რომლის კალთებზე დადგომილია სოფელ კოლხიდის რუსთაველის კოლმეურნეობის სანახები. ყოველ კვირას ამ კოლმეურნეობის სპორტულ მოედანზე დიდი გამოცდის ხმა, საჭიდაო სარბიელთან სოფლის ფალანგების გულშემატკივართა უვიღ-ხვილი...

სოფელ კოლხიდის უფროსი საყვარელი სპორტის სახეობა ფეხბურთია, ალბათ ამიტომაც, რომ კოლმეურნეობის კულტურის სახლში ყველაზე მეტი ჯილდო სწორედ ფეხბურთელთა გუნდის გამარჯვებათა შედეგად დაგროვდა. შარშან სოფელ კოლხიდის ფეხბურთელებმა რაიონში II ადგილი დაიკავეს, ხოლო საკოლმეურნეო გუნდების ტურნირში—თასი მოიპოვეს. წელს მათ უფრო დიდი წარმატება ზედად წილად და რაიონის პირველობაზე მოიპოვეს ჩემპიონის წოდება.

ამ წარმატებებს კოლმეურნე ფეხბურთელთა გუნდი რეგულარული ვარჯიშით და მწვერთვის ი. ფიფის კარგი მუშაობით აღწევს. კოლხიდის ფეხბურთელთა გუნდის კარგ მომზადებაზე ლაბრაკობს ისიც, რომ ამ კოლექტივის წევრები ა. გუნია, ლ. ძიპაშვილი, ნ. ახალაძე, გ. ბენიძე და ი. ფიფია რაიონის ნაკრების წევრები არიან.

ფეხბურთის გარდა კოლმეურნე ახალგაზრდობა სპორტის სხვა სახეობებზეც ეტანება. არანაკლები სიყვარულით ეყილებიან თავიანთ საქმეს კოლმეურნე-ფრენბურთელები, მოქალაქეები, მსროლელები და შაშისტები. მოქალაქეები აქ ხშირად ატარებენ შიდასკოლმეურნეო ტურნირებს, სადაც კოლმეურნეებთან ერთად სოფლის სკოლის დირექტორი ლ. აბსავა, მასწავლებელი ვ. გეთია და სხვა კვალიფიციური მოქალაქეებიც მონაწილეობენ, საერთოდ, საკოლმეურ-

ნეო და სოფლის სკოლის ფიზკულტურულ კოლექტივებს აქ დიდი მებობრობა აქვთ გაჩაღებული და ეს ბუნებრივია; ისინი ხომ „კოლმეურნის“ წევრები არიან და საზოგადოების ახალ-ახალი წარმატებებისათვის იბრძვიან. სხვა არა იყოს რა, ბევრი კოლხიდელი სკოლადამთავრებული სამუშაოდ თავისი მშობლიური სოფლის კოლმეურნეობაში რჩება და სკოლაში მიღებულ სპორტულ წრთობას იმტკიცებს კოლმეურნეთა რიგებშიც. ამიტომ უხარიათ კოლმეურნეებს ამ სკოლის მოსწავლეთა ყოველი ახალი მიღწევა და ახალი გამარჯვება.

გაგრის რაიონის განათლების განყოფილების ფინანსურის ინსპექტორი რ. ჯოლოგუა უსასყიდლოდ ეხმარება კოლმეურნეობებსა და სკოლებს ფიზკულტურული მუშაობის გაშლას. იგი კოლხიდელთა ხშირი სტუმარია და თავის ცოდნას სოფლის სპორტსმენებსაც გადასცემს. ამას წინათ, როცა გაგრის რაიონის მოსწავლე-მოფარევეებს კრასნოდარის მოფარევეთა ლია პირველობაზე მოწვევა მოუვიდათ, რ. ჯოლოგუამ შეჯიბრებაზე კოლხიდის სკოლის მოსწავლეებიც წაიყვანა. კოლხიდელებმა თავის აღმზრდელს იმედს გაუმართლეს: ესპარტონის შეჯიბრებაში ამ სკოლის მოსწავლემ ტ. ხურცილაძემ I ადგილი მოიპოვა, ამავე სახეობაში მეორე ადგილი წილად ზედა გ. აბსავას.

კოლმეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივში აღიზარდნენ პირ-

ველთარგოსანი ძალოსანი ა. კერბაშვილი და პირველთარგოსანი მოქიდავე ლ. ძიპაშვილი. კოლმეურნეობაში არის რამდენიმე კარგად მომზადებული ველოსიპედისტიც.

— ამ სპორტსმენებს ფიზკულტურული კოლექტივისათვის კარგი სასახურის გაწევა შეუძლიათ, და ალბათ ჩქარა კოლხიდის კოლმეურნეობაში ჰქონდნენ, ძალოსნობისა და ველოსიპედის სახეობებშიც დაინერგება, — გვეუბნებიან კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის აქტივისტები. საუბარში გათვლებს თავს წამოგვადგა კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, სოციალისტური შრომის გმირი ტ. გუნია. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გატაცებით მოგვითხრო სოფელ კოლხიდის ფიზკულტურელთა მიღწევებზე და მათ მომავალ გეგმებზე:

— ჩვენი სპორტსმენები ვანა მარტო სპორტულ მოედანებზე არიან მოწინავენი, ისინი საკოლმეურნეო მიწებებზეც პირველნი არიან. კოლმეურნეთა თითქმის ნახევარი ახალგაზრდობა და შრომით საქმიანობაზე ავანგარდში იმყოფება. ჩვენი ახალგაზრდობის მუყაითი შრომის შედეგია, რომ სიმინდის ნათესი ფართობის დიდ ნაწილზე მაღალი მოსავლის მიღებას ვაპირებთ. არც თამბაქოს კულტურაში გვექნება ჩამორჩენა. წელს სახელმწიფოს გეგმის ზევით ათობით ტონა თამბაქოს ფოთოლს ჩავაბარებთ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც მიღწევებით შევხვდებით. 10-15 ივლისისათვის რძის ჩამოწვევის წლიურ გეგმას შევასრულებთ, ხოლო ხორცის სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმა უკვე კარგა ხანია შევასრულეთ. საგრძნობლად გაიზარდა საკოლმეურნეო შემოსავალი, რომელიც ძველი ფულთ 3 მილიონ მანეთზე მეტი იქნება. უკეთესად იცხოვრებს კოლხიდელი კოლმეურნე, მეტი ექნება დღევანთი. ჩვენმა ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას ფიზკულტურულ მუშაობაშიც ახალი მიღწევებით შევხვდნენ. მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებათა ნუსხას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ახალგაზრდებს ბევრი სასარგებლო საკითხის გადაწყვეტა განუზრახავთ. აი, ზოგიერთი მათგანი.

ყრილობის დღეებისათვის კოლმეურნეობის ყველა ახალგაზრდა მშთ I და II საფეხურის ნიშნისა იქნება, მომზადდება 3 პირველ-

## ი. ნიგურიანი — მთაშველი და მქარაპი

მესტიის კალინინის სახ. კოლმეურნეობაში მრავალი სკოლა-დამთავრებული შრომობს. კოლმეურნეობის მოწინავე მშრომელთა რიგებში ჩადგა ი. ნიგურიანიც, რომელმაც მესტიის საშუალო სკოლა გასულ წელს დაამთავრა. ი. ნიგურიანი მარტო შრომაში როდია მოწინავე. მას აქ იცნობენ როგორც ერთ-ერთ საუკეთესო ალპინისტს და მონადირეს. ი. ნიგურიანი მეორეთარგოსანი ალპინისტია და თავის გამოცდილებას კოლმეურნეობაში მის მიერ ჩამოყალიბებულ ალპინისტთა სექციას გადასცემს. ი. ნიგურიანმა ალპინიზმისა და ნადირობის გარდა თავი ხელოვნებაშიც სცადა. ამას წინათ მან ჭიუხებისა და კლდეების ბინადარი—ჭიხვი გამოძიროა. ი. ნიგურიანი ჩინებულად უხამებს



ერთმანეთს შრომას, სპორტსა და ხელოვნებას.  
\* \* \*  
სწრაფად: ი. ნიგურიანი მუშაობის დროს.  
ფოტო ვ. რატანისა

თარგოსანი, 8—მეორეთარგოსანი და 31 — მესამეთარგოსანი.

დაკომპლექტდება ჰიდაობის, ველორბოლისა და ძალოსნობის სექციები. ფიზკულტურული მოედანი გადაიქცევა კეთილმოწყობილ სარბიელად: შეკეთდება სარბენი ბილიკი, მოწყობა მძლეოსნობისა და სხვა სექციონებიც. ყრილობის დღეებში დამთავრდება ფრენბურთისა და კალათბურთის კომპინირებული მთენიანების მშენებლობა, შევძენთ ფიზკულტურული კოლექტივისთვის საჭირო ინვენტარს...

— აღებულ ვალდებულებათა შესრულების ტრადიცია ჩვენს ახალგაზრდებს კარგი აქვთ: მათ სიტყვას საქმედ მოსდევს. შრომაში და სპორტში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შედეგებს შემოდგომაზე, ყრილობის დღეებისათვის შევავამბთ, — გვეუბნება კოლმეურნეობის თავმჯდომარე და უმატებს, — ყრილობის დღეებში უთუოდ გვეწვიეთ, ჩვენს სპორტულ მოედანებზე და კულტურის სახლში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისადმი მიძღვნილი კოლხიდელი მშრომელების, ახალგაზრდებისა და ქაბუკების დიდი ზეიმი გვექნება.

**ჯ. ანუშიძე**  
სწრაფად: გაგრის სტადიონზე ვარჯიშობენ სოფელ კოლხიდის ფეხბურთელები.  
ფოტო ვ. ხემიონოვისა.



## სპორტული

ჩატარდა სპორტსაზოგადოებრივი „კოლმეურნის“ სარაიონო პირველობა კალათბურთში 8 გუნდის მონაწილეობით. კარგი მაჩვენებლებით გამოიყო სოფ. ლიხეთის გუნდი, რომელმაც დამარცხა ყველა მოწინააღმდეგე და დამსახურებულად მოიპოვა „კოლმეურნის“ ამბროლაურის რაიონის ჩემპიონობა და გარდაცვლილი თასი, მეორე ადგილზე გაივიდნენ სოფ. ბუგეულის, ხოლო მესამეზე — სოფ. ხოტევის კალათბურთელები.

**ნ. ანთონისა**

## მორი

გორელები დიდი ინტერესს აღევენდნენ თვალს „განთიხისა“ და „სპარტაკის“ მოქალაქე გუნდურ პირველობას, რომელ ერთ კვირას გაგრძელდა. პირველი ადგილი დაიკავა გორის სამეცნიერო-საჯილდო ტიტულის გუნდმა, მეორე ადგილი მოიპოვეს საკონსერვო ქარის მოქალაქეებმა.

**ი. თევზორაშვილი**



ეს იყო ნამდვილი სიურპრიზი: — სოფლის ძალოსანთა საკავშირო გუნდურ შეჯიბრებაზე პირველობა მოიპოვა ახალციხის რაიონის სოფელ წყურთის სპორტსმენთა კოლექტივმა.

რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც იგრძნეს მესხეთის პატარა სოფლის ფიზკულტურული ცხოვრების მაჩვენებელი. იქ გაუკვირდა, მაგრამ ახალციხეში ყველაფერი კანონზომიერად ჩათვალეს, ვინაიდან მათ საკუთარი ძალების რწმენა ჰქონდათ და ეს ძალებიც რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც იგრძნეს მესხეთის პატარა სოფლის ფიზკულტურული ცხოვრების მაჩვენებელი.

## კარგი დასაწყისი საქმის ნახევარია

ალურ სინამდვილეს წარმოადგენდნენ.

ფიზკულტურა და სპორტი მტკიცედ დამკვიდრდა ახალციხის რაიონის მკვიდრთა ყოველდღიურ ცხოვრებაში და ასეთი გარდატეხა უწინ ჩამორჩენილ ახალციხის რაიონში მოახდინა სპორტულმა ბაზემმა. სწორედ აქ გამოჩნდა ყველა ის შესაძლებლობა, რომლებიც უხვად ჰქონიათ ადგილობრივ სპორტსმენებს.

სპორტსმენებს ხამოქმედო ასპარეზი სჭირდებოდათ და რაიონის ხელმძღვანელობამაც სწო-

რად გაუგო ახალგაზრდობას...

სამუშაოები ახალციხის სტადიონის რეკონსტრუქციით დაიწყო. ფეხბურთის ძირითადი მიწების გვერდით სათადარიგოც გაკეთდა და სტადიონის ტერიტორიის ერთი კუთხე კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებმა გააღამაგეს. დიდი ხანი არ არის, რაც დამთავრდა კეთილმოწყობილი გასახლეობის აგება და მარტივი ტიპის მოედანი ერთ-ერთ საშუალო კომპლექსურ სტადიონად გადაიქცა.

ახალციხის სპორტულ ორგანიზაციათა დაქაჩულობა საგრძნობლად აფერხებდა ერთიანი სამუშაო გეგმით მუშაობას, დღეს კი ეს თავისებური მუხრუქი ლიკვიდირებულია: პარტიული ხელმძღვანელობის ინიციატივით პიონერთა სახელმისამართი შეიკვალა და მისი 5-თახიანი შენობა ახალციხის სპორტკავშირს გადაეცა. აქვე სპორტსაზოგადოებათა რაიონული საბჭოები და საქალაქო კლუბები, რომელსაც საქალაქო მოძრაობის ენთუზია-

სტა გ. ნიკოშვილი ხელმძღვანელობს.

სპორტული სექციების მუშაობის შემოწმებაზე დღეს სირბილი: აღარა სჭირდება სპორტკავშირის თავმჯდომარეს მ. იაქეს. დერფენის გავლით სპორტკავშირის შენობის კარი უშუალოდ გადის ახლად რეკონსტრუირებულ სპორტულ დარბაზში, რომლის ფართობი 22 X 10,5 მ. ამ დარბაზში უერთდება კეთილმოწყობილი ორფიცარნაგანი ძალოსნობის დარბაზი, რომლის საჭირო იარაღებით აღჭურვაში დიდი

დევალი მიუძღვის „კოლმეურნის“ რაიონის თავმჯდომარეს ქ. სტეპანიანს. აქვე უნდა ითქვას, რომ „კოლმეურნის“ რაიონული ხელმძღვანელთა შორის ეს ერთადერთი ქალია, რომელმაც შეძლო რაიონის ბევრ სოფელში ადრე ქალაქებში არსებული სექციური მუშაობა სინამდვილედ ექცია.

რაიონში დიდ ხანს იყო უმატრონოდ მიტოვებული 50-მეტრიანი საცუ-რაო აუზი და ახლად მისი წესრიგში დადგა მისი ექსპლოატაციის განახ-

ლება. სარემონტო სამუშაოები უკვე დაიწყო მოკლე ხანში ახალციხის რაიონიდანაც უნდა დაიწყო სპორტული მონაცემების მკითხველთა გამოჩენა, როცა მომავლის მეტზე ჩამოვუვლით პარაკი მ. იაქეს, მან დიდა:

— კარგი სტადიონი გქონება, პირველი სპორტული ბაზები გქვს, მუშაობის შედეგად, ალბათ რესპუბლიკის მისუტების შეჯიბრებზე დაინახავთ.

გვეყარა, რომ გამართულთა კვარცხლბეკ-მესხეთის მიწის მკვინიც ავლენ.

**ბ. სახანოშვილი**

მძლეოსანთა შეჯიბრებაზე, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის სიგრძელზე ხტომაში გამარჯვება მოიპოვეს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, სპორტის ოსტატებმა რ. ქვაჩაიძემ და ლ. ივლიძემ.

სურათზე: ზევით — რ. ქვაჩაიძე, ქვევით — ლ. ივლიძე ხტომის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

### დამატებით დროში

დამთავრდა შეხვედრები კალათბურთულ ქალთა შორის, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი მოიპოვეს სტუდენტებმა, რომლებმაც დამატებით დროში დაამარცხეს „განთიადის“ სპორტსმენები — 55:54 (50:50). მეორე ადგილზე გამოვიდა „ლოკომოტივი“. რკინიგზელებმა უკანასკნელ დღეს მოუგეს „სპარტაკს“ — 53:48. აღსანიშნავია ლოკომოტივის, 16 წლის სამტრედიელი ე. ზურცილავას კარგი თამაში, რომელმაც „სპარტაკთან“ მატჩში თავის გუნდს 17 ქულა მოუტანა.

დაიწყო ვაჟთა გუნდების ტურნირი, პირველ დღეს გაიმართა ერთი შეხვედრა. „სპარტაკმა“, რომელიც „განთიადთან“ შესვენებამდე აგებდა (22:27), შესძლო მატჩის თავის სასარგებლოდ დამთავრება — 56:51.

„განთიადის“ ბაზებზე დამთავრდა შეხვედრები ფრენბურთში, გამოვლინდნენ ჩემპიონები. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის ეს საპატიო წოდება მოიპოვეს „ბურვესტნიკის“ სპორტსმენებმა. ქალთა გუნდებში გამარჯვებისათვის იბრძოდა სამი კოლექტივი („ლოკომოტივი“ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა) და სტუდენტებმა ადვილად დაამარცხეს „სპარტაკი“ (3:0), ხოლო შემდეგ „განთიადი“ (3:1). სამაგიეროდ ვაჟთა გუნდს ფინალში 5 პარტიის თამაში მოუწია „განთიადის“ გუნდთან.

ამ კოლექტივების მატჩი სტუდენტებმა დუნედ, თვითდარწმუნებით დაიწყეს, რის წყალობით განთიადელებმა წაიყვანეს ანგარი-

ში, აიღეს გადამწყვეტი ქულა და მოიგეს პარტია — 15:9. პირველი პარტიის წაგების მიუხედავად ყველა ფიქრობდა, რომ საკავშირო პირველობაზე „ა“ კლასში მონაწილე „ბურვესტნიკის“ ფრენბურთელები ადვილად შეძლებდნენ დარჩენილი პარტიების მოგებას. მართლაც, მეორე და მესამე პარტიაში „ბურვესტნიკმა“ იოლ გამარჯვება — 15:8, 15:5 მიიღო. მათი უპირატესობით წარამართა მეოთხე პარტიაც. სტუდენტები წინ იყვნენ — 13:9. და, აი სწორედ ამ შედეგზე განთიადელების ო. დობოჯინძის, გ. ბაქრაძისა და ზ. ვრონიაკის კარგმა თამაშმა მათ შესაძლებლობა მისცა კერა გაეთანაბრებინათ ანგარიში,

ხოლო შემდეგ მოეგოთ პარტია — 17:15. მეხუთე გადამწყვეტი პარტიაში სტუდენტები კვლავ დაწინაურდნენ. მათგან ძალიან ანგარიში გათანაბრდა — 6:6. შემდეგ წინა გუნდს „ბურვესტნიკის“ ფრენბურთელები — 13:10, ისევ გათანაბრდა ანგარიში — 13:13. საბოლოოდ შეხვედრა მოიგეს სტუდენტებმა — 3:2.

### ქაბი—ჩაბიონაბი

საფარიაკო ბილიკზე პირველად რაბირთ მეტროპოლი ქალები გამოვიდნენ. მათ შორის ამ შეჯიბრებისათვის ყველაზე უკეთ მომზადებული ბურვესტნიკელი სპორტის ოსტატი ლ. ფანჯიძე აღმოჩნდა.

მოფარიაკვე ქალმა ერთადერთი დამარცხება განიცადა თანაგუნდელ გ. გორაძესთან შეხვედრაში — 3:4. ამ უკანასკნელმა კი ორი წაგებით მესამე ადგილზე გადაინაცვლა. მეორე იყო მ. კობრიძე („ბურვესტნიკი“).

ამ იარაღით მეტროპოლი ვაჟთა შორის უდავო იყო სპორტის ოსტატ გ. ჯაიანის („ბურვესტნიკი“) უპირატესობა დანარჩენ მოწინააღმდეგეებზე. მან ყველა მეტოქე დაამარცხა და დამსახურებულად მოიპოვა სპარტაკიადის ჩემპიონობა.

დაწინით მოფარიაკვეთა ფინალურ შეხვედრებში 6-6 მოგება ჰქონდათ სპორტის ოსტატ კ. გოგელიას და მ. ასათიანს (ორივე „ბურვესტნიკიდან“).

მატებით ბრძოლაში კ. გოგელია მოწოდების სიმადლეზე აღმოჩნდა და შეძლო ამ საინტერესო ბრძოლის მოგება.

უფროს ქმას არც სპორტის ოსტატი ა. გოგელია („სპარტაკი“) ჩამორჩა და გამოცდილ მ. სახვადიზე გამარჯვების შემდეგ ადვილად გაინაღდა სპარტაკიადის ჩემპიონობა.



ტექნიკური შედეგების მიხედვით ყველაზე კარგი მაჩვენებლები ბურვესტნიკელებს ჰქონდათ. შემდეგ მოდიოდნენ სპარტაკელები და განთიადელები.

### ჯგუჯურ რბოლაში

ველოსიპედისტთა შეჯიბრების მეორე დღეს პირადი პირველობა არ გათამაშებულა. სპორტსმენები ამჯერად სტარტზე გამოვიდნენ თავიანთი გუნდების ინტერესების დასაცავად ჯგუფურ რბოლაში. ვაჟთა შეჯიბრების დისტანცია 100 კილომეტრს უდრდა, ქალები კი გამარჯვებისათვის იბრძოდნენ 25 კილომეტრზე.

„ბურვესტნიკის“, „განთიადის“, „სპარტაკისა“ და „ლოკომოტივის“ მობოლელთა შეჯიბრებაში მოსალოდნელი იყო, რომ პირველობას „ბურვესტნიკისა“ და „განთიადის“ გუნდები მოიპოვებდნენ. ასეც მოხდა. ორივე გუნდმა მოიპოვა საქართველოს პროფკავშირთა III საზაფხულო სპარტაკიადის ჩემპიონობა. ერთმა — „განთიადის“ ვაჟთა შეჯიბრებაში ისახელა თავი, ხოლო მეორემ — „ბურვესტნიკის“ ველოსიპედისტთა კოლექტივმა არავის დაუთმო პირველობა ქალთა შორის.

ფიჭულტურულ კოლექტივებს შორის გამარჯვა „ისანის“ გუნდმა. ველოსიპედისტთა შეჯიბრება დამთავრდა გუშინ.



პროფკავშირების III რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე მონაწილეობა შედარებით იოლ „სამუშაოს“ წარმოადგენს საბჭოთა კავშირის პროფკავშირების ჩემპიონის ჯ. დავლიანიძისათვის („ბურვესტნიკი“).

სურათზე: ჯ. დავლიანიძის (ზევიდან) „გაურბის“ ოსტატი ე. ამიჩანოვი („სპარტაკი“).

# სპარტაკიადის ფინიშზე

## ოთხი ჩემპიონი

გუნდური პირველობის დამთავრების შემდეგ წყალში მხტომელებმა გაითამაშეს პირადი პირველობა. 3-მეტრიანი ტრამპლინიდან და კოშკურიდან ხტომაში ქალთა შორის, 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში სამივე სპარტაკიადელი „განთიადის“ სპორტსმენებმა მოიპოვეს. მათ შორის ყველაზე მაღალი შეფასება (115,12 ქულა) მიიღო თბილისელმა სპორტის ოსტატმა ტ. ინჭიკიშვილმა, რომელმაც 3,30 ქულით ჩამოიტოვა სხვანაირად. კინწურაშვილი. ორივე სპარტაკის მანქანებელი შეესაბამებოდა პირველ თანრიგს. სამაგიეროდ, მეორე თანრიგის შედეგით (99,62 ქულა) დაკმაყოფილდა მესამე პრიზიორი ა. კოლიაინა.

ამ ვარჯიშში ვაჟთა შორისაც ორმა გამარჯვებულმა შეასრულა პირველი თანრიგი. სპორტის ოსტატმა გ. ქირიამ („ბურვესტნიკი“) (133,4 ქულა) და ლოკომოტიველმა ი. გუტიაელოვმა — (131,0 ქულა).

გ. მხითარაძე მოაგროვა 130,46 ქულა და მესამე ადგილზე დარჩა. მიმზიდველი იყო ხტომები კოშკურიდან. ტრამპლინიდან ხტომებში გამარჯვებულთაგან აქ მხოლოდ ერთმა ტ. ინჭიკიშვილმა ისახელა თავი, როცა ქალთა ტურნირში მოაგროვა 65,64 ქულა და მეორე ადგილი უზრუნველყო თავისთვის, თუმცა მისი მაჩვენებელი ამჯერად გერცილდება მეორე თანრიგს. მან უპირატესობა დაუთმო ნ. ნუდელს („ბურვესტნიკი“) — 70,23 ქ. (პირველი თანრიგი). დაბალი იყო მესამე პრიზიორის რ. მარტიროსიანის („განთიადი“) შედეგი — 59,31 ქ.

ვაჟთა შორის კოშკურიდან ხტომაში პირველი იყო ლოკომოტიველი ტ. მირზოიანი. მან ყველა ნახტომში მოწინააღმდეგეებთან შედარებით ბევრად უკეთესი შეფასებანი მიიღო და მოიპოვა პროფკავშირთა რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩემპიონობა.

შეჯიბრების უკანასკნელ დღეს შტანგისტები სამ წონით კატეგორიაში იბრძოდნენ სპარტაკიადის ჩემპიონის სახელისათვის, სადა უალო წონაში უკვე პირველმა მოძრაობამ — აჭიმვამ გამარჯვების სასწორი ბურვესტნიკელ გ. ნარსიას მხარეს გადახარა, როცა მან 110 კგ შტანგა აჭიმა და 10 კგ-ით გაასწრო ი. შუბითიძეს (რუსთავი, მეტალურგიული ქარხანა), ლოკომოტიველმა ა. ტატაეშვილმა დაძლია 97,5 კგ.

ატაცში შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ნარსია, უახლოეს კონკურენტს, შუბითიძეს უსწრებდა 20 კილოგრამით, მესამე მოძრაობამ — აკვრამ კი საბოლოოდ გადაწყვიტა გამარჯვებულის ბედი ნარსიას სასარგებლოდ. მან 130 კგ შტანგა დაძლია, სამჯერად 347,5 კგ მოაგროვა და პირველი ადგილი მოიპოვა, 130-კგ შტანგა აჭრა ა. ტატაეშვილმა, ხოლო შუბითიძემ — 122,5, რის გამო მეტალურგი სპორტსმენი სამჯერად მესამე ადგილზე დარჩა, ქვემომხე წონაში სამჯერად ერთადერთი პირველი იყო სპორტის ოსტატი ა. გოგოლაური (რუსთავი) 17,5 კგ-ით იყო წინ უახლოეს კონკურენტს გ. სანიკიძეზე („გამარჯვება“), რომელმაც 122,5 კგ დაძლია. პირველი წარმატება გამარჯვების კარგ შანსებს აძლევდა რუსთავის გუნდის წევრს, მაგრამ ატაცში სანიკიძემ სხვაობა 5 კილოგრამამდე დაიყვანა (მისი შედეგია 117,5 კგ) და ბოლოს მან 155 კგ აჭრა გოგოლაურის 150 კგ-ის წინააღმდეგ და სამჯერად კონკურენტები გათანაბრდნენ — 395 კგ თვითუღს. გამარჯვებული სასწორმა გამოავლინა, როცა სანიკიძის საკუთარი წონა ნაკლები აღმოჩნდა.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებს სპორტსაზოგადოებებს შორის — „განთიადის“, ფიჭულტურულ კოლექტივებს შორის — „გამარჯვების“ გუნდებმა.



## ბრძოლები ფიცარნაგზე

თადერთი პირველი თანრიგის შედეგი აჩვენა სპორტის ოსტატმა კ. ბაზაძემ (სპორტკლუბი „გამარჯვება“) იგი სპარტაკიადის ადგილებისათვის მეტროპოლეს ნ. ბარქაიასა (ქუთაისის ავტოქარხანა) და ბურვესტნიკელ რ. ბასილიას სჯობდა ყველა მოძრაობაში. მან აჭიმა 130 კგ, აიტაცა — 125 კგ და აკვრა — 150 კგ შტანგა, რითაც სამჯერად მოაგროვა 405 კგ. ამით მან 47,5 კგ-ით აჭრბა მეორე ადგილზე გამოუსულ ნ. ბარქაიას.

მხოლოდ ოთხი სპორტსმენი ჩაება მიმე წონის ძალოსანთა ბრძოლაში. როცა პირველი მოძრაობა — აჭიმვა დამთავრდა, აღმოჩნდა, რომ ა. გოგოლაური (რუსთავი) 17,5 კგ-ით იყო წინ უახლოეს კონკურენტს გ. სანიკიძეზე („გამარჯვება“), რომელმაც 122,5 კგ დაძლია. პირველი წარმატება გამარჯვების კარგ შანსებს აძლევდა რუსთავის გუნდის წევრს, მაგრამ ატაცში სანიკიძემ სხვაობა 5 კილოგრამამდე დაიყვანა (მისი შედეგია 117,5 კგ) და ბოლოს მან 155 კგ აჭრა გოგოლაურის 150 კგ-ის წინააღმდეგ და სამჯერად კონკურენტები გათანაბრდნენ — 395 კგ თვითუღს. გამარჯვებული სასწორმა გამოავლინა, როცა სანიკიძის საკუთარი წონა ნაკლები აღმოჩნდა.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებს სპორტსაზოგადოებებს შორის — „განთიადის“, ფიჭულტურულ კოლექტივებს შორის — „გამარჯვების“ გუნდებმა.

სურათზე: მარცხნივ — კ. ბაზაძე, რომელიც პირველი იყო ქვემომხე წონაში და ა. გოგოლაური (მარჯვნივ) ფიცარნაგზე. ფოტო ა. ვართანოვისა.



# საზოგადოებრივი ტურნირები

თუმცა მ. ბოტვინიკმა ახლახან კვლავ დაიბრუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, მაგრამ ჰალდანიის მოყვარულნი უკვე კითხულობენ: ვის შეხვდება მ. ბოტვინიკი 1963 წელს? თუ ვინ იქნება მსოფლიო ჩემპიონის მეტოქე, შევიტყობთ პრეტენდენტთა ტურნირის დამთავრების შემდეგ. ტურნირის გამართვა განსაზღვრულია 1962 წელს პოლანდის ინდივიდუალური ცნობილია მხოლოდ ის, რომ მასში პერსონალურად მიწვეული არიან მ. ტალი და პ. კერესი, ხოლო დანარჩენ ექვს მონაწილეს გამოავლენს საზოგადოებრივი ტურნირი, რომელიც მოეწყობა მიმდინარე წლის მეორე ნახევარში.

გერმანიაში მოეწყობა სამი ზონალური ტურნირი. პირველ ტურნირში გაიმარჯვებს გროსმაისტერმა გლიგორინმა (იუგოსლავია), ოსტატმა პომარმა (ესპანეთი) და გროსმაისტერმა პორტიშმა (უნგრეთი), მეორეში — გროსმაისტერმა ბარკამ, ოსტატმა ბილეკმა (ორივე უნგრეთიდან), ოსტატმა ბერტოკმა (იუგოსლავია). მესამე ზონალური ტურნირის მნიშვნელობისა იყო სსრ კავშირის 28-ე ჩემპიონატი, საიდანაც საზოგადოებრივი ტურნირში გავიდნენ გროსმაისტერები პეტროსიანი, კორჩნოი, გელერი და ოსტატი შტეინი. ამგვარივე უფლებების მატარებელი იყო აშშ-ს ჩემპიონატიც, სადაც პირველი იყვნენ გროსმაისტერები ფიშერი, ლომბარდი და ოსტატი ვაინშტეინი.

ჩრდილოეთ ამერიკიდან საზოგადოებრივი ტურნირში ითამაშებს კანადელი ოსტატ-ანოცეკი, ხოლო სამხრეთ ამერიკიდან — კოლუმბიელი ოსტატი კუელიარი. სამხრეთ ამერიკის მეორე ზონალური ტურნირიდან ორი მონაწილე უკვე ცნობილია — არგენტინელი ოსტა-

ტი ბოლბოჩანი და შვებერი. მესამე მონაწილე გაირკვევა დამატებით მატჩ-ტურნირში ვეჟსლერს (არგენტინა), გერმანის (ბრაზილია) და ფლორესს (ჩილი) შორის.

აზიის ქვეყნები საზოგადოებრივი ტურნირში წარმოუვლენ იქნებიან ინდოეთის ჩემპიონ ოსტატ აარონი, რომელმაც ზონალურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა.

ევროპის მეოთხე ზონალური ტურნირი, როგორც ცნობილია, ფაქტურად ჩაიშალა პოლანდის მთავრობის დისკრძინი. ეს მოქმედებით გდრ-ს გროსმაისტერის ულმანის მიმართ, რომლის სამართლიან პრეტენსტს მხარა დაუჭირეს პოლონეთის, იუგოსლავიის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის მოქალაქეებმა და უარი განაცხადეს ტურნირში მონაწილეობაზე.

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ ეროვნული ფედერაციების თანხმობით გააუქმა პოლანდაში ჩატარებული ზონალური ტურნირის შედეგები და დანიშნა ახალი ტურნირი, რომლის ჩატარება იქნება ჩეხოსლოვაკიის ფედერაციამ. ამ ტურნირში უნდა გამოავლინოს სამი პრეტენდენტი.

თუ რომელ ქვეყანაში გაიმართება საზოგადოებრივი ტურნირი, ჯერჯერობით არ არის დადგენილი. სამწუხაროდ, ისევ დარჩა ძველი ვადამდებობა, რომ პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს მხოლოდ ითხმა საბჭოთა გროსმაისტერმა. რაკი ორი გროსმაისტერი პერსონალურადაა დაშვებული, მაშასადამე საზოგადოებრივი ტურნირიდან მასში გავა კიდევ ის ორი, რომლებიც უმადლეს ადგილებს დაიკავენ გამარჯვებულ შემსრულებელში.

თ. გიორგაძე



„ბურთი და მოედანი“ — ასე ეწოდება მოკლემეტრეული მხატვრული ფილმი, რომელსაც იღებს კინოსტუდია „ქართული ფილმი“. სცენარის ავტორები არიან: ს. უდენტი და გ. მგელაძე, რეჟისორი — გ. მგელაძე. ოპერატორი — ფ. ვისოცკი, კომპოზიტორი — ფ. ლლონტი. ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ ი. სეიფია, ვ. ნინუა, გ. თალაკვაძე და სხვ.

ფილმი „ბურთი და მოედანი“ ეხება ფეხბურთის გულშემატიკურებს, რომლებიც ძალას არ ზოგავენ იმისათვის, რომ როგორმე დაეწრონ ფეხბურთის მატჩს. ფილმი ახლო მომავალში ნაჩვენებია ოქნება თბილისის ეკრანზე.  
სურათში: ფილმის ერთ-ერთი კადრის გადაღების მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.


## ამერიკელი კვლავ დაამარცხდნენ

ამერიკის შეერთებული შტატების ძალისხმევს მეორე მატჩი პონდათ ლენინგრადში და კვლავ დამარცხდნენ, მაგრამ ამჯერად სხვა ანგარიშით. უფრო ფრთხილად, მუშაობდა ჩ. ვინჩი, რადგან კვლავ არ სურდა რომელიმე მოძრაობაში „0“ მძლეობა, მაგრამ დამარცხებულსა და თავი მაინც ვერ იხსნა. იგი 7,5 კგ-ით ჩამორჩა მარჯაულს, რომელმაც 335 კგ აჩვენა სამქიდეში.

კვლავ გაიმარჯვა მსოფლიო რეკორდსმენი ი. ბერგერმა, ამჯერად მისი მოწინააღმდეგე იყო მ. მედეველი. მართალია, ბერგერმა 2,5

კგ-ით ნაკლები — 360 კგ აჩვენა, ვიდრე მოსკოვში, მაგრამ სწორედ 2,5 კგ-ით მოუგო მოწინააღმდეგეს. შემდეგ წონებში საბჭოთა გუნდს ორი ქულა მისცეს ბ. მაკეევა და ა. უდენმა.  
საშუალო წონაში ლ. რიკესა და ფ. ბოგდანოვის ორთაბრძოლის ბელ ამერიკელის სასარგებლოდ გადაწყვიტა მოულოდნელობა. ფ. ბოგდანოვიმ ტრავმა მიიღო და შეჯიბრება შეწყვიტა. საბჭოთა სპორტმენების გამარჯვებით დამთავრდა შეხვედრები ქვეშიმე და მძიმე წონებშიც. ამრიგად, ამერიკელებმა განიადეს მეორე დამარცხება — 2:5.

რედაქტორი ი. უბულაძე.



### 20 ივლისი

პროფესიონალ  
ჩოგბურთელთა  
გამოსვლა  
მსოფლიო მას. ჩამიონს  
ჯეკ კრამერის  
(აშშ)  
მონაწილეობით  
დასაწყისი 18 საათზე.

### 15-16 ივლისი



სამართაშორისო  
შეხვედრა  
ჩემოსლოვაკია —  
საბჭოთა  
დასაწყისი 19 საათზე.

### 18 ივლისი



სამართაშორისო  
შეხვედრა  
აშშ (ნაკრები) —  
სსრპ (ნაკრები)  
დასაწყისი 19 საათზე.

## ჩოგბურთის პირველობები — თბილისში

1947 წელს უიმბლდონის ტურნირზე შეკრებილი ათასობით მაყურებელი აღფრთოვანებულია ტაშით შეხვდა შეჯიბრების გმირს — ერთეულთა, შერეულ და მამაკაცთა წყვილებს შორის გამარჯვებულს, შესანიშნავ ოსტატს ჯ. კრამერს, რომელმაც სამა პირველი ადგილი მოიპოვა. კარგა ხნის განმავლობაში უტკბოეთის გაზეთების კორესპონდენტებმა აღიარებდნენ, რომ ჯ. კრამერი — ეს არის მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონი არანაკლებ 10 წლის განმავლობაში. მაგრამ სულ სხვას ფიქრობდა უიმბლდონის ტურნირის გმირი, მას პროფესიონალი სურდა და სურვილიც აისრულა. მაგრამ არც ამით დაკმაყოფილდა ჯ. კრამერი, რამდენიმე წლის შემდეგ მან გადაწყვიტა შეედეგინა უძლიერეს პროფესიონალ ჩოგბურთელთა დასი და სპორტის ამ სახეობის ვირტუოზული

ტექნიკით მოეჯადოებანა მაყურებელი.  
ჯ. კრამერს ხშირად ნახავდით უიმბლდონის ტურნირის, დევისის თაისის გათამაშების დროს. იგი დიდი ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა ყოველ მონაწილეს, ემუდბდა მასში თავისი დასის მომავალ წევრს და როგორც კი რომელიმე ტურნირი დამთავრდებოდა, იწყებდა გამარჯვებულთან მოლაპარაკებას. ხელშეკრულების დადებას და მოყვარული სპორტსმენი პროფესიონალი ხდებოდა. ასე შეიძინა ჯ. კრამერმა ამჟამად მისი დასის პრემიერი პოაი. ამ უკანასკნელმა დიდი წარმატება მოიპოვა 1956 წლის უიმბლდონის ტურნირზე, სადაც პირველი ადგილი დაიკავა. პოაიმა თავის ტრადიციას არც 1957 წელს უღალატა და კვლავ მოიპოვა მსოფლიოს ამ არაოფიციალური პირველობის ჩემპიონის სახელი. ეს იყო და ეს.

ამის შემდეგ პოაი მოყვარულთა შეჯიბრებაზე არ უნახავთ, მან ჯ. კრამერის კალთებს ქვეშ შეაფარა თავი, ამ დასში პოაის გარდა გამოდის მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი, რომლებიც წინათ მოყვარულთა ტურნირებში დიდ წარმატებას აღწევდნენ. ჯ. კრამერი, რომელიც პროფესიონალი ჩოგბურთელია, რომელიც უფროს უღვას სათავეში, როდი სჯერდება თავისი ჯგუფით სხვადასხვა ქვეყანაში საჩვენებელი გამოსვლების ჩვენებას, მას დაწესებული აქვს თავისი სახელობის თასი, რომელიც პროფესიონალ ჩოგბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატს წარმოადგენს. საბჭოთა სპორტის მოყვარულები ჯ. კრამერის ქვეშეშე პოაის ვარდენახვენ დასის მეორე პრემიერს, წარმოშობით მექსიკელს — რ. გონზალესს, სპორტის ამ სახეობის გამოჩენილი სპორტისტები ამტკიცებენ,

რომ ჩოგბურთის ისტორიის არ ახსოვს რა გონზალესზე ძლიერი სპორტსმენი. გასულ წლებში კალათბურთის უტკბოელი სპეციალისტების ყურადღებას იქცევდა სწრაფად მზარდი ამერიკელი კალათბურთელი ა. ტრამბერტი, რომელსაც სპორტის ამ სახეობაში დიდ წარმატებებს უწინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ა. ტრამბერტი თავისი გუნდის ვარჯიშზე არ მოვიდა. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გაიგეს მასმა კოლეგებმა, რომ მათი თანაგუნდელი ჩოგბურთელი გამხდარიყო. ძალზე მოკლე ხნის განმავლობაში ა. ტრამბერტმა დაიმსახურა მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელის სახელი, როცა 1953 წელს მოიპოვა აშშ-ს, ხოლო 1955 წელს საფრანგეთის, აშშ-ს, უიმბლდონის ჩემპიონის სახელი. ამ წელსვე იგი ჩაირიცხულ იქნა ჯ. კრამერის დასში.

მ. კანდლაძე